ბრძანება:**ბ34. 342421460**

თარიღი:**01/08/2024**

**სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის $84^1$-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-6 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, სტაჟიორთა შესარჩევად, გამოცხადდეს კონკურსი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

- ადმინისტრაციული სამსახური - 5 ვაკანსია;

- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - 4 ვაკანსია;

- ეკონომიკის სამსახური - 3 ვაკანსია;

- სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური - 5 ვაკანსია;

- ზედამხედველობის სამსახური - 4 ვაკანსია;

- განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური - 4 ვაკანსია.

2. სტაჟიორთა კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტაჟიორთა შესარჩევმა კომისიამ.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი